

სეკულარიზმი და ახალი ქართველი ერის კონცეფცია ილიასა და
„თერგდალეულებთან“

სამაგისტრო ნაშრომი
პოლიტიკური თეოლოგია
ხელმძღვანელი: პროფესორი სერგო რატიანი

ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტი. მიმართულება: ფილოსოფია

ლაშა ომარაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
გაზაფხულის სემესტრი
2019 წელი

სარჩევი:

| | |
|--|---------|
| აბსტრაქტი..... | 3 გ.ვ. |
| Abstraction..... | 4 გ.ვ. |
| შესავალი..... | 5 გ.ვ. |
| სამეცნიერო ლიტერატური მიმოხილვა..... | 14 გ.ვ. |
| სეკულარიზმის წინაპირობები საქართველოში მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეების მიჯნაზე..... | 18 გ.ვ. |
| კვლევის მიზნები და ამოცანები..... | 31 გ.ვ. |
| მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის ქართველი ლირიკოსების ძიება ქართველი ერის პოლიტიკური მეტაფიზიკის კონცეფციისა და მათ წინაშე არსებული გამოწვევები..... | 33 გ.ვ. |
| შეჯამება..... | 56 გ.ვ. |
| გამოყენებული ლიტერატურა..... | 60 გ.ვ. |

აბსტრაქტი

მეცხრამეტე საუკუნის ქართველი მწერლის, პოეტისა და საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის წმინდანად შერაცხვამ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ, ქართულ ეროვნულ მოძრაობას ახალი სული შთაბერა. მისმა ლიტერატურულმა ნაწარმოებებმა და პუბლიცისტურმა წერილებმა დიდი გავლენა იქონიეს მეოცე საუკუნის ანტისაბჭოთა არალეგალურ მოძრაობებზე. აგრეთვე ეკლესიის მიერ წმინდანად შერაცხვამ მის პიროვნებას დამატებითი საკრალურობა შესძინა.

კვლევის საგანია „თერგდალეულთა“ მოძრაობის სეკულარულობის ხასიათის დადგენა. თუ რამ განაპირობა შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკურ-რელიგიური რეპრეზენტაციის საკრალური სფეროდან გამოსვლა და ახალი, თვისობრივად განსხვავებულ, პროფანულ იდეაზე დამყარებული მოდერნისტული პოლიტიკური თეოლოგიის შექმნა.

საკითხი დგას შემდეგ ნაირად: თუ რა იყო ილიასეული ქართველი ერის კონცეფციის მამოძრავებელი იდეა, ან თუ რატომ გახდა ილია ჭავჭავაძე და „თერგდალეულები“ ნაციონალური თვითშეგნების გენერატორი. რამ განაპირობა ახალი ქართული ერის პოლიტიკური მეტაფიზიკის ჩამოყალიბების მთავარ მამოძრავებელ ძალად. ჩემი კვლევის ერთ-ერთი მიზანი სწორედ თერგდალეულების, როგორც სეკულარული ფენომენის, ერის დაფუძნების იდეის პოლიტიკური თეოლოგიურ და ნაციონალური იდეის მუტაციის კვლევა წარმოადგენს.

მნიშვნელოვანია განვიხილოთ „თერგდალეულების“, ახალი ქართველი ერის სეკულარული მეტაფიზიკა და მისი ფრანგული ანალოგის თავისებურებები. როგორც ვიცით ფრანგულ რევულუციას თან ახლდა რადიკალური სეკულარიზმი, რომელიც რელიგიის საჯარო სივრციდან სრული განდევნით დასრულდა. ფრანგულმა რევულუციამ, თავისმხრივ თვისობრივად ახალი პოლიტიკური თეოლოგია შექმნა, რომელმაც სამოქალაქო ნაციონალიზმის ცნება შემოიტანა ცნობიერებაში. ამ მოვლენამ რათქმაუნდა დიდი გავლენა მოხდინა ევროპული ნაციონალიზმის წარმოშობაში. კვლევის მიზანია თუ რა გავლენას ახდენდა „თერგდალეულებზე“ ფრანგული რევულუციის იდეები და ევროპული ნაციონალიზმი. რა იყო მათი ნაციონალიზმის მამოძრავებელი ლოკომოტივი. კვლევის მიზანია დავადგინოთ ილიასეული, ახალი ქართველი ერის კონცეფციის მოდელი, როგორც სეკულარული ფენომენის შინაარსი და მისი მეტაფიზიკა.

A b s t r a c t

The canonization of Ilia Chavchavadze, Georgian writer, poet and political figure by the Georgian Orthodox Church, brought new inspiration to the Georgian nationalist movement. His literary works and publicistic letters made a direct impact on illegal anti-soviet activities *of the 20th century*. In addition, after the Church canonized him, his personality was accorded more sacredness.

The goal of the research is to make clear the nature of secularism of the Tergdaleuli movement and understand which factors helped political-religious establishment come out of the sacral circle in medieval Georgia and create a new modernist political theology based on secular ideology

Our goal is to understand how the ideology by Ilia Chavchavadze strengthened the idea of Georgian nation, why Ilia Chavchavadze and the Tergdaleuli Movement acted as a catalyst for ethnic nationalism and which factor contributed to forming a new Georgian nation. One of the objectives of my research is to make clear the idea of secularism brought into Georgian society by the Tergdaleuli Movement and their attempt to transform it into a theological, ethnic and nationalist idea

It is also important to discuss about a secular metaphysics of a new Georgian nation by the Tergdaleuli Movement and the particularities of its French analogue. As we know, the French revolution was inspired by radical secularism, which was completely expelled from public space. However, the French revolution created quite new theological politics, which introduced a new conception of civil nationalism into reality. This phenomenon made a big impact on development of European nationalism. What was the catalyst of it? Our objective is to make clear a new model of Georgian nation's conception, as content of secular phenomenon and its metaphysics